



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მ ი ნ ი ს ტ რ ი



KA100108580652814

თბილისი

10 / ოქტომბერი / 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/945

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე
მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 ოქტომბრის N01/779 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების (შემდგომში - დებულება)“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- დამტკიცდეს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N4) მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:
 - გამოცხადდეს კონკურსი სამინისტროს ცენტრალური აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე (ოქმის დანართი N1-ის შესაბამისად);
 - კონკურსი ჩატარდეს ერთ ეტაპად, გასაუბრების ფორმით;
 - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეთათვის გასაუბრების თემატიკის გაცნობა;
 - საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2014 წლის 10-19 ოქტომბერი;
 - მსურველთა აპლიკაციების თანამდებობებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ, კონკურსანტთა გასაუბრების გრაფიკი განისაზღვროს ცალკე, არაუადრეს 2014 წლის 21 ოქტომბრისა;
 - კონკურსში მონაწილეთა შეფასების ფორმა განისაზღვროს ოქმის დანართი N2-ის შესაბამისად.
- სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოსთან ერთად) უზრუნველყოს:
 - კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება (სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით);
 - კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.
- სამინისტროს აპარატმა (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოსთან ერთად) უზრუნველყოს სამინისტროს ვებ-გვერდზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.

4. სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების თანამშრომლებისათვის გაცნობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი



ლევან ყიფიანი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. თბილისი

09.10.2014 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე - აკაკი ლოდია.

ესწრებოდა - კომისიის წევრი - თამაზ თევზაძე; რატი ბრეგაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ

კომისიის სამდივნოს წევრები: ნანა ფერაძე - სამდივნოს უფროსი;

დიანა ჩიხრაძე, თეა ამაშუკელი - სამდივნოს წევრები.

დღის წესრიგი

1. საკონკურსო თანამდებობათა განსაზღვრა;
2. კონკურსის ფორმის განსაზღვრა;
3. კონკურსის ჩატარების ვადების განსაზღვრა;
4. კონკურსის მონაწილეთა შეფასების ფორმის განსაზღვრა.

1. ნანა ფერაძემ - კომისიას წარუდგინა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრული ის ვაკანტური თანამდებობები, რომლებზედაც დანიშნული არიან დროებით მოვალეობის შემსრულებლები.

აზრი გამოთქვას: ა. ლოდიაშვილი, თ. თევზაძემ, რ. ბრეგაძემ.

გადაწყვეტის: კონკურსი გამოცხადდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრული იმ ვაკანტურ თანამდებობებზე, რომლებზედაც დანიშნული არიან დროებით მოვალეობის შემსრულებლები დანართი NI-ის შესაბამისად.

2. აკაკი ლოდია კომისიის წინაშე წარსდგა წინადადებით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ იმ საკონკურსო თანამდებობებზე, რომლებზედაც დანიშნული არიან დროებით მოვალეობის შემსრულებლები (დანართი NI-ის შესაბამისად) კონკურსი ჩატარდეს ერთ ეტაპად, გასაუბრების ფორმით.

აზრი გამოთქვას: ა. ლოდიაშვილი, თ. თევზაძემ, რ. ბრეგაძემ.

გადაწყვეტის:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ იმ საკონკურსო თანამდებობებზე, რომლებზედაც დანიშნული არიან დროებით მოვალეობის შემსრულებლები (დანართი NI-ის შესაბამისად) კონკურსი ჩატარდეს ერთ ეტაპად, გასაუბრების ფორმით.

ბ) კომისიის სამდივნოს დაევალოს კონკურსანტებისათვის გასაუბრების თემატიკის გაცნობა.

3. აკაკი ლოდია კომისიის წინაშე წარსდგა წინადადებით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ იმ საკონკურსო თანამდებობებზე, რომლებზედაც დანიშნული არიან დროებით მოვალეობის შემსრულებლები (დანართი NI-ის შესაბამისად) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2014 წლის 10-19 ოქტომბერი.

აზრი გამოთქვას: ა. ლოდიაშვილი, თ. თევზაძემ, რ. ბრეგაძემ.

გადაწყვეტის:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ იმ საკონკურსო თანამდებობებზე, რომლებზედაც დანიშნული არიან დროებით მოვალეობის შემსრულებლები (დანართი NI-ის შესაბამისად) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2014 წლის 10-19 ოქტომბერი.

ბ) კონკურსანტთა გასაუბრების გრაფიკი განისაზღვროს ცალკე, არაუადრეს 2014 წლის 21 ოქტომბერი.

4. ნანა ფერაძემ კომისიას წარუდგინა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ იმ საკონკურსო თანამდებობებზე, რომლებზედაც დანიშნული არიან დროებით მოვალეობის შემსრულებლები (დანართი N1-ის შესაბამისად) კონკურსის მონაწილეთა შეფასების ფორმა.

აზრი გამოთქვას: ა. ლოდიაშვილი, თ. თევზაძე, რ. ბრეგაძე.

გადაწყვიტეს: სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ იმ საკონკურსო თანამდებობებზე, რომლებზედაც დანიშნული არიან დროებით მოვალეობის შემსრულებლები (დანართი N1-ის შესაბამისად) კონკურსის მონაწილეთა შეფასების ფორმა განისაზღვროს დანართი N2-ის თანახმად.

კომისიის თავმჯდომარე




აკაკი ლოდია

კომისიის წევრები:



რათი ბრეგაძე



თამაზ თევზაძე

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
ვაკანტური თანამდებობები

1	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
2	ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

თანამდებობა:

თარიღი

კონკურსანტის სახელი, გვარი :

შეფასების ფორმა

N	კითხვა	კითხვის მიზანი	შეფასება 0-დან 5-ქულამდე
1	სამინისტროს როლი და ფუნქცია	სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის თაობაზე	
2	არსებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი კვალიფიკაცია	1. თეორიული ცოდნის დონე; 2. პრაქტიკული გამოცდილება;	
3	რით არის თქვენთვის საინტერესო ეს საქმიანობა	მოტივაცია	
4	თქვენი უპირატესობა სხვა კონკურსანტებთან მიმართებაში	პრეზენტაბელურობა	
5	რით დაიწყებთ თქვენს პირველ სამუშაო დღეს	სამუშაოსადმი დამოკიდებულება	

ზოგადი შეფასება -/+	
საუბრობს გასაგებად, აზრს აყალიბებს ლოგიკურად და არგუმენტირებულად	
პასუხობს მშვიდად და დამაჯერებლად	

ხელმოწერა